ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 3

"30" იანვარი 2026 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №18-ში მდებარე კომერციული ფართი №2-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა №9-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას განახორციელოს, „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №18-ში მდებარე კომერციული ფართი №2-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008.01.02.002) და ბინა №9-ის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის №26.118.116 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა №18-ში მდებარე უძრავი ქონების პირველ სართულზე არსებული კომერციული ფართი №2-ის, ფართით - 50.10 კვ.მ. (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008.01.02.002) და მეორე სართულზე მდებარე ბინა №9-ის, ფართით - 29.00 კვ.მ. (მშენებარე) (საკადასტრო კოდი: №01.19.20.017.008.01.01.009) პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით თემურ საკანდელიძისთვის (პ/ნ. 01024026158) საკუთრებაში გადაცემა, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბამიძე